Green Climate Fund

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC



# საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა

## ECO.Georgia

Implemented by

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ეროვნული სატყეო სააგენტო
National Forestry Agency

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

სოფლის განვითარების სააგენტო

კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის" შემუშავდა საქართველოში სატყეო სექტორის მხარდაჭერის, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელებაში წვლილის შეტანის მიზნით.

პროექტი ტყის აღდგენის, ტყის კარგვის შემცირების, ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციის გზით ხელს შეუწყობს ტყის ნახშირბადის მარაგების გაზრდას, ასევე დაეხმარება ენერგო ეფექტური და ალტერნატიული საწვავისთვის ბაზრის განვითარებას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდას ტყის მდგრად მართვაში, ცნობიერების ამაღლების, პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაბამისი პოლიტიკისა და რეგულაციების მეშვეობით.

## პროექტი შედგება 3 კომპონენტისგან:

- ტყის მდგრადი მართვა
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ალტერნატიული საწვავის ბაზრის განვითარება
- შემოსავლების წყაროები და ადგილობრივი თვითმმართველობა ტყის მართვაში

## პროექტის ბიუჯეტია 175.44 მლნ ევრო, აქედან:

- საქართველოს მთავრობა - 118.06 მლნ ევრო
- კლიმატის მწვანე ფონდი - 32.79 მლნ ევრო
- გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო - 10 მლნ ევრო
- შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - 4.09 მლნ ევრო
- საფინანსო ორგანიზაციის წვლილი - 10.50 მლნ ევრო

## სარგებელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის:

- საწვავი ხე-ტყის საიმედო მიწოდება ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ
- ენერგიის ღირებულების შემცირება დაახლოებით 50%-ით
- მაღალი ხარისხის, გამძლე ღუმელი 10 წლიანი ექსპლუატაციის ვადით
- მიმზიდველი ფინანსური პაკეტი ენერგოეფექტური ღუმელის შესაძენად
- შიდა ჰაერის დაბინძურების შემცირება
- საწვავის ფართო არჩევანი
- დამატებითი სამუშაო ადგილები და განათლება

## სარგებელი ადგილობრივი თემებისა და მეწარმეებისთვის:

- აქტიური მონაწილეობა ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში
- გაუმჯობესებული უნარები და ცოდნა სატყეო სექტორში
- ფორმალური დასაქმების შესაძლებლობები და ოჯახების შემოსავლის გაზრდა
- სანდო და ხარისხიანი საწვავი ხე-ტყის მიწოდება ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანი ეზოების მეშვეობით
- ფინანსური მხარდაჭერა ადგილობრივი მეწარმეებისთვის
- ღუმელებისა და ალტერნატიული საწვავის ადგილობრივი მწარმოებლების მხარდაჭერა
- შერჩეული საქმიანობების ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერება (არამერქნული ტყის პროდუქტების (NTFP), მერქნული ტყის პროდუქტის (TFP) და ეკოტურიზმის)
- დამატებითი სამუშაო ადგილები და განათლება



**ECO.Georgia** ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სოფლის განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი ძალისხმევით.

**პროექტის სამიზნე რეგიონებია:** გურია, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი.

**პროექტის განხორციელების პერიოდია:** 2021-2028 წლები.

**პროექტის ფარგლებში დაგეგმილია:** ინფორმაციული და ტექნიკური საკონსულტაციო დახმარების გაწევა საწვავი ხე-ტყის მომხმარებლებისთვის სამიზნე რეგიონებში (82 000 ოჯახისთვის) და ქვეყნის სხვა სასოფლო დასახლებებში (160 000 ოჯახისთვის), ასევე, სათბურის აირების ემისიების შემცირება (6 მილიონი ტონა $CO_2$ექ-ით) სახელმწიფოს მიერ მართული ტყის ტერიტორიების (250 000 ჰექტარზე) ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვის შედეგად.

## სამიზნე რეგიონები და მუნიციპალიტეტები:



**მცხეთა-მთიანეთი**
- ✓ თიანეთი

**გურია**
- ✓ ჩოხატაური
- ✓ ლანჩხუთი
- ✓ ოზურგეთი

**კახეთი**
- ✓ ახმეტა
- ✓ ყვარელი
- ✓ თელავი
- ✓ დედოფლისწყარო

eiec.gov.ge

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

info@eiec.gov.ge

+995 32 2 11 20 23

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 6